საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოფურიძე არჩილ ვალენტინის ძე



ა. თოფურიძე ბოქსიორი1978

თოფურიძე არჩილ ვალენტინის ძე (24. II. 1938, თბილისი, – 4. V. 2011, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1989), დაღესტნის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963). მისი პედაგოგები იყვნენ ნ. კანდელაკი, შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე. თ. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1970–90). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1964-იდან, კერძოდ, 1977 მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ 5 მოქანდაკის ჯგუფურ გამოფენაში. ძირითადი ნამუშევრები: მაქსიმ გორკი (ბრინჯაო, 1971, თბილისი), ქალის ფიგურა (მარმარილო, 1973, ბიჭვინთა), შინმოუსვლელთა მემორიალი (სპილენძი, 1981, ჭიათურა), ქვაში შესრულებული ბარელიეფები და ფიგურები (1985, ქ. მაჰაჩყალის სახელმწ. დრამ. თეატრის შენობა) და სხვ. თ-ის ნამუშევრები ინახება თბილისის, მიუნხენის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.